საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი
საქპატენტი

ქ. მცხეთა "02" 07 2013 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 992/03

სასაქონლო ნიშანზე სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნის რეგისტრაციის თაობაზე

2013 წლის 25 ივნისის N დმ-814214, დმ-5185 განცხადებით კომპანიის „ლე ლაბორატუარ სერვიე" (მის: 50, რიუ კარნო, 92284 სიურსნე სედექსი, საფრანგეთი) წარმომადგენელმა შალვა გვარამაძემ მოითხოვა სასაქონლო ნიშანზე „SERVIER" (რეგ. N 5185) სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნის ორი წლის ვადით სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნათა რეესტრში რეგისტრაცია. სასაქონლო ნიშანი „SERVIER" (რეგ. N 5185) საქართველოში რეგისტრირებულია 24.04.1997 წელს და მისი მოქმედების ვადა განისაზღვრება 24.04.2017 წლამდე. სასაქონლო ნიშანი რეგისტრირებულია 1-ლი, მე-3, მე-5, მე-10, მე-16, 35-ე, 41-ე და 42-ე კლასების საქონლისა და მომსახურების ჩამონათვალის მიმართ. არსებული გარემოებების შესწავლის შედეგად და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 52-ე მუხლის, „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს კანონის მე–4 მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის" დებულების დამტკიცების შესახებ "საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ივლისის N181 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სასაქონლო ნიშანზე „SERVIER" (რეგ. N 5185) დარეგისტრირდეს სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნა სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნათა რეესტრში ორი წლის ვადით 1-ლი, მე-3, მე-5, მე-10 და მე-16 კლასების საქონლის ჩამონათვალის მიმართ (მოთხოვნის რეგისტრაციის N 314, მოთხოვნის რეგისტრაციის თარიღი 02.07.2013).

სათაო ოფისი: 3300 ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ. №5; ტელ.: (+995 32) 2252533; ტელ./ფაქსი: (+995 32) 2988419
გამომცემლობა: 0179 ქ. თბილისი, ნინო რამიშვილის ქ. №31; ტელ.: (+995 32) 2252796
E-mail: info@sakpatenti.org.ge
www.sakpatenti.org.ge

2. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქპატენტთან არსებულ სააპელაციო პალატაში კანონით დადგენილი წესით სამი თვის ვადაში ან მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: მცხეთა, სამხედროს N 17) ერთი თვის ვადაში.

თავმჯდომარე ირაკლი ღვალაძე

ეგზავნება: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტს; კომპანიის „ლე ლაბორატუარ სერვიე“ წარმომადგენელს შალვა გვარამაძეს (მის: სულხან ცინცაძის 56, ბინა 36, თბილისი, საქართველო).

ასლი დედანთან სწორია
"02" 07 2013 წ.
ხელმოწერა

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი“

ინფორმაცია სასაქონლო ნიშნის შესახებ:

ნიშანი:

რეგისტრაციის N: **5185**

მფლობელი: **ლე ლაბორატუარ სერვიე**

მისამართი: **50, რიუ კარნო, 92284 სიურსნე სედექსი, საფრანგეთი**

კლას(ებ)ი: 1 - მრეწველობაში, მეცნიერებაში, სოფლის მეურნეობაში, მებაღეობასა და მეტყევეობაში გამოსაყენებელი ქიმიური პროდუქტები, ქიმიური ნივთიერებანი საკვები პროდუქტების დაკონსერვებისათვის.

3 - მათეთრებელი, სარეცხი, საწმენდი, საპრიალებელი, გაუცხიმოვნებისა და აბრაზიული დამუშავების საშუალებები, საპონი, პარფიუმერია, ეთერზეთები, კოსმეტიკური საშუალებანი, თმის ლოსიონები, კბილის ფხვნილები და პასტები.

5 - ფარმაცევტული, ვეტერინარული და ჰიგიენური პრეპარატები, დიეტური თვისებების მქონე ნივთიერებები სამედიცინო მიზნებისათვის, ბავშვთა კვება, სალბუნები, გადასახვევი საშუალებები; კბილის ტვიფრისა და კბილის ბჟენის დასამზადებელი მასალები, სადეზინფექციო საშუალებები, მავნე ცხოველების გასანადგურებელი საშუალებები, ფუნგიციდები, ჰერბიციდები.

10 - ქირურგიული, სამედიცინო, სტომატოლოგიური და ვეტერინარული ხელსაწყოები და ინსტრუმენტები; თვალის, კბილისა და კიდურების პროთეზები, ორთოპედიული ნაწარმი, ნაკერების დასადები მასალები.

16 - ქაღალდი, მუყაო და მათი ნაწარმი, რომლებიც სხვა კლასებს არ მიეკუთვნება, ნაბეჭდი პროდუქცია, მასალები საამკინძაო სამუშაოებისათვის, საწერ-ქაღალდის საქონელი, ფოტოსურათები.

35 - რეკლამა და საქმიანი ოპერაციები, კერძოდ, დახმარება საქმეთა მართვაში, საქმის ორგანიზებისა და მართვის საკონსულტაციო სამსახურები, მედიცინასთან დაკავშირებული საშუამავლო მომსახურება, მომსახურება საქონლის გასაღების ზრდაში.

41 - აღზრდა, კერძოდ, წიგნების, ჟურნალების, ბროშურების, კატალოგებისა და საინფორმაციო ფურცლების გამოცემა, მომსახურება ხელმოწერაში, ჟურნალ-გაზეთების გავრცელება, მომსახურება სამედიცინო სწავლებაში, მომსახურება მოსამსახურე პერსონალისა და სამედიცინო ინსპექტორების კვალიფიკაციის ასამაღლებლად; კონფერენციების, კონგრესების, სიმპოზიუმებისა და პროფესიული სხდომების ორგანიზაცია.

42 - მომსახურება ახალი პროდუქტების წარმოების, კვლევის, სრულყოფისა და ჩამოყალიბების, კერძოდ, მედიცინისა და ფარმაკოლოგიის სფეროში; ლაბორატორიების მომსახურება, მომსახურება სამედიცინო, სამეცნიერო ან ტექნიკური ინფორმაციის სფეროში.

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი“

ინფორმაცია სასაქონლო ნიშნის შესახებ:

ნიშანი: **SERVIER**

საერთაშორისო რეგ. N: 814214

მფლობელი: **LES LABORATOIRES SERVIER**

მისამართი: **50 rue Carnot, F-92284 SURESNES cedex, საფრანგეთი**

კლას(ებ)ი:

5 - Pharmaceutical and veterinary products; hygienic products for medicine; dietetic substances for medical use, food for babies; plasters, materials for dressings; material for stopping teeth and dental wax; disinfectants; products for destroying vermin; fungicides, herbicides.

35 - Advertising and business, namely business management assistance; business organisation consulting; medical promotion services; promotion services for the sale of products; subscription services for printed matter.